გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს
განკარგულება № 22

2022 წლის 14 იანვარი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების თაობაზე

„გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N7 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის უფროსი ვალდებულია საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს ბიუროს წარუდგინოს წლიური ანგარიში აპარატის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. გამომდინარე იქედან, რომ საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს ანგარიშების მოსმენა და შეფასება, საჭიროა შეფასდეს ზემოთ აღნიშნული ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

№1 დანართი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს აპარატი იქმნება საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით. საკრებულოს აპარატის უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზება განისაზღვრება საკრებულოს აპარატის დებულებით, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო (გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი თავი XVII. მუხლი 136).

აპარატი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის მუდმივმოქმედ, მუდმივი და ანაზღაურებადი შტატების საფუძველზე შექმნილ ორგანოს. აპარატის ფუნქციაა უზრუნველყოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და საკრებულოს თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, გაუწიოს დახმარება საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში, მიაწოდოს ინფორმაცია მოსახლეობას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოს მოქალაქეთა ურთიერთობა საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირებთან (გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება).

საკრებულოს აპარატში განსაზღვრულია 19 საშტატო ერთეული (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსის თანამდებობა - 1; მესამე რანგის, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა - 17; მეოთხე რანგის, I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა - 1) და 4 შტატგარეშე თანამშრომელი;

2021 წელს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა :

ბიუროს 22 სხდომა, საკრებულოს 22 სხდომა (მათ შორის მორიგი - 12, რიგგარეშე - 10); საკრებულოს მიერ მიღებული იქნა: 39 დადგენილება და 252 განკარგულება (24 დეკემბრის მონაცემებით);

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხატია ჯალაბაძე; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 სხდომა. განხილული იქნა 40 საკითხი.

ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მანანა მაისურაძე; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 სხდომა და განხილული იქნა 40 საკითხი.

ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები შორენა შოშიაშვილი და ივანე ვარდანაშვილი; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 სხდომა და განხილული იქნა 89 საკითხი.

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ირინა შენგელია; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 სხდომა განხილული იქნა 16 საკითხი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები აკაკი გიუნაშვილი და ირინა ტეტუნაშვილი; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 სხდომა და განხილული იქნა 73 საკითხი.

ასევე ჩატარდა ერთობლივი კომისიების 2 სხდომა .

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა 2021 წელს მოახდინა კომისიების ერთობლივი სხდომის ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფა.

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 6 სხდომა. განხილული იქნა 8 საკითხი.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხატია ჯალაბაძე; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 5 სხდომა. განხილული იქნა 64 საკითხი.

ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მედეა მახარაშვილი; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 7 სხდომა. განხილული იქნა 27 საკითხი.

ფრაქცია „ძლიერი გორი“ სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ქეთევან ტატიშვილი; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 12 სხდომა. განხილული იქნა 54 საკითხი.

ფრაქცია „პატრიოტები ხალხის სამსახურში“ სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხატია ჯალაბაძე; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 7 სხდომა. განხილული იქნა 143 საკითხი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ დემოკრატები“ სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ირინე ტეტუნაშვილი; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 3 სხდომა. განხილული იქნა 35 საკითხი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - ერთობა “ სხდომების ჩატარებას ტექნიკურად და ინფორმაციულად უზრუნველყოფს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

მანანა მაისურაძე; სულ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 2 სხდომა. განხილული იქნა 9 საკითხი.

2021 წლის 24 დეკემბრის მდგომარეობით საკრებულოში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 530; შესრულებული - 431; შემოსული განცხადებები - 267; ხოლო მოხსენებითი ბარათები - 328.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ 2021 წლის განმავლობაში მომზადდა 88 - საერთო საორგანიზაციო საკითხებისა და 145 საკადრო საკითხების და მივლინების შესახებ ბრძანების პროექტი.

2021 წლის განმავლობაში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა 19 კორესპონდენცია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, რაზეც წერილობითი პასუხი იქნა გაცემული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილება არ მიღებულა. საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიღებულა. საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მოთხოვნები არ დარღვეულა და შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელი არ დადებულა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის დამუშავებასთან და გაცემასთან დაკავშირებით რაიმე ხარჯი არ გაუწევია. გამომდინარე იქედან, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილება არ მიღებულა, შესაბამისად ის არ გასაჩივრებულა და გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯიც არ ყოფილა.

გარდა ელექტრონული საქმისწარმოებისა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები პეროიდულად, დარგობრივად საკითხის არსიდან გამმდინარე მუშაობენ ისეთ ელექტრონულ პროგრამაში როგორიცაა http://publish.matsne.gov.ge/; http://stajireba.gov.ge/; https://apps.msda.ge/. https://www.ehrms.ge/ აპარატი ასევე აწარმოებს საკრებულოს https://www.facebook.com/ გვერდზე და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციების გამოქვეყნებას.